ვამტკიცებ
სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი
_____ გ. კაკაურიძე
06.01.2017

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ბაზარზე ზედამხედველობის 2017 წლის I კვარტლის სამოქმედო გეგმა

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N641 დადგენილებით დამტკიცებული სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის, სააგენტოს უფროსის მიერ 2017 წლის 4 იანვარს დამტკიცებული სსიპ- ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის სამოქმედო გეგმისა და სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის ბაზარზე ზედამხედველობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ საკანონმდებლო დაახლოებამდე საქართველოს ბაზარზე არსებული საქვაბე დანადგარები არ ექვემდებარებოდა შემოწმებას, აუცილებელი არის პირველადი ინფორმაციის მიღება ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ, შესაბამისად, აღნიშული რისკის ანალიზის საფუძველზე, სააგენტოს მიერ, 2017 წლის I კვარტალში პრიორიტეტი მიენიჭა საქვაბე დანადგარებს.

ჩატარებული ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორები, შესაბამისად, წინამდებარე გეგმით გათვალისწინებული ვადებულებების შესასრულებლად, სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, სააგენტოს შესაბამისი სამმართველოს თანამშრომლები მივლენილ იქნებიან N1 ცხრილში მითითებულ ობიექტებზე ბაზარზე ზედამხედველობის განსახორციელებლად.

ზედამხედველობის ფარგლებში მოხდება 30-მდე საქვაბე დანადგარის შემოწმება და შესაბამისი კითხვარის (დანართი N1) გამოყენებით საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივნისის N 149 დადგენილებით დამტკიცებული „თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაბე დანადგარი) ეფექტურობის მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

ცხრილი N1

ობიექტი	ობიექტის მფლობელი	ობიექტის ადგილმდებარეობა	ვადა
საქვაბე დანადგარი	შპს ,,თერმა იმპორტი“	კანდელაკის ქ.№37	2017 წლის I კვარტალი
საქვაბე დანადგარი	შპს ,,ჰიდროთერმი“	წერეთლის გამზ.№118	2017 წლის I კვარტალი
საქვაბე დანადგარი	შპს ,,მაქსტერმი“	ბელიაშვილის ქ.№149	2017 წლის I კვარტალი
საქვაბე დანადგარი	შპს ,,უნივერსალი“,	ბაგრატიონის ქ.№5	2017 წლის I კვარტალი
საქვაბე დანადგარი	შპს ,,თერმოსთრიმი“	აგლაძის ქ.№7ა	2017 წლის I კვარტალი
საქვაბე დანადგარი	შპს ,,ევროკლიმატი“	ყაზბეგის ქ.№13	2017 წლის I კვარტალი
საქვაბე დანადგარი	შპს ,,ლიდერსისტემ“	აგლაძის ქუჩა	2017 წლის I კვარტალი

დანართი N1

საქართველოს მთავრობის
დადგენილება № 149
2013 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი
თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაბე დანადგარი) ეფექტურობის მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

კითხვარი

№	რეგლამენტის მოთხოვნა	დიახ/არა	შენიშვნა
1	საცხოვრებელ ფართში დასამონტაჟებელი საქვაბე დანადგარი - 37 კვტ-ზე ნაკლები ეფექტური ასეთი საქვაბე დანადგარის კორპუსზე გარკვევით უნდა იყოს მინიშნება, რომ იგი საცხოვრებელი ფართისთვის არის განკუთვნილი. **მუხლი 2, პ. ლ)**		
2	აკმაყოფილებს თუ არა საქვაბე დანადგარი ეფექტურობის მოთხოვნებს. **მუხლი 5 პ. 1** ეფექტური სიმძლავრის მოთხოვნები წარმოდგენილია ცხრილში:		

საქვაბე დანადგარების ტიპები	ნომინალური სიმძლავრის ზღვრები	ეფექტურობა ნომინალურ სიმძლავრეზე		ეფექტურობა ნაწილობრივ დატვირთვაზე	
	კვტ	წყლის საშუალო ტემპერატურა (^0C)	ეფექტურობის მოთხოვნები (%-ში)	წყლის საშუალო ტემპერატურა (^0C)	ეფექტურობის მოთხოვნები (%-ში)
სტანდარტული საქვაბე დანადგარები	4-400	70	≥ 84+2 logPn	> 50	≥80+3 logPn
დაბალ ტემპერატურული საქვაბე დანადგარები (*)	4-400	70	≥87.5+1.5 logPn	40	≥87.5+1.5 logPn
აირის კონდესატორული საქვაბე დანადგარები	4-400	70	≥ 91+1 logPn	30 (**)	≥97+1 logPn

(*) თხევად საწვავზე მომუშავე კონდენსატორული საქვაბე დანადგარების ჩათვლით
(**) საქვაბე დანადგარის წყლის ტემპერატურა.

3	მოწყობილობას ბაზარზე განთავსებისას უნდა გააჩნდეს შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია. **მუხლი 5, პ. 4**		
4	- არის თუ არა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისობის ნიშანდება საქვაბე დანადგარებზე გაკეთებული თვალსაჩინო ადგილას, გარკვევით და ისე, რომ არ წაიშალოს. - აკრძალულია ამ პროდუქტებზე შეცდომაში შემყვანი ნებისმიერი სხვა		

	მარკის, ნიშნის ან აღნიშვნის გაკეთება, რომლებიც შესაბამის ნიშანდებაში არევას გამოიწვევს როგორც მნიშვნელობით, ასევე გარეგნულად. **მუხლი 5, პ. 5**		
5	აქვს თუ არა საქვაბე დანადგარს გამოყენების ინსტრუქცია სახელმწიფო ენაზე. ,,კოდექსი''-ს მუხლი 12-ის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილი		